საქართველოს რესპუბლიკა
ბერძნული კულტურის ცენტრი „მაკედონია"

РЕСПУБЛИКА ГРУЗИЯ
ГРЕЧЕСКИЙ КУЛЬТУРНЫЙ ЦЕНТР «МАКЕДОНИЯ»

# არისტოტელეს სახელობის ბერძნულ-ქართული უნივერსიტეტის შრომები

ტ. I

# ТРУДЫ

## ГРЕКО-ГРУЗИНСКОГО УНИВЕРСИТЕТА ИМ. АРИСТОТЕЛЯ

т. I

თბილისი — ТБИЛИСИ
1994

ნ. კირვალიძე

# სამეტყველო პოსტულატების შესახებ თანამედროვე ინგლისურში

ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიალოგიურ მეტყველებას განიხილავენ როგორც ადამიანთა სამეტყველო-გონებრივ მოღვაწეობას, მიმართულს ურთიერთგაგების დამყარებისაკენ. მეტყველების აქტების თეორიის განვითარების შედეგად მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კომუნიკანტთა სამეტყველო აქტიურობას საფუძვლად უნდა ედოს თანამშრომლობის, ანუ კოოპერაციის პრინციპის დაცვა. ამასთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სასაუბრო პოსტულატების შემუშავებას, რომლებიც მეტნაკლებად არეგულირებენ კომუნიკანტთა სამეტყველო ქცევის ნორმებს. დღემდე ჩამოყალიბებული პოსტულატებიდან მსოფლიო აღიარება მოიპოვა პ. გრაისის მიერ შემოთავაზებულმა თეზისებმა, რომლებმაც შემდგომი განვითარება ჰპოვეს მრავალრიცხოვან შრომებში. პ. გრაისის ლინგვისტურ კონცეფციაში (იხ. 3) თანამშრომლობის პრინციპის რეალიზაცია ხდება ქცევის ოთხი ძირითადი წესის, ანუ მაქსიმის (maxima) დაცვით. ესენია:

1. რაოდენობითობის, ანუ ინფორმაციულობის მაქსიმა, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი პოსტულატებით: " თქვენი გამონათქვამი არ უნდა შეიცავდეს იმაზე ნაკლებ ინფორმაციას რაც საჭიროა!", "თქვენი გამონათქვამი არ უნდა შეიცავდეს იმაზე მეტ ინფორმაციას რაც საჭიროა!"

2. თვისებრიობის, ანუ ჭეშმარიტების მაქსიმა, რომელიც აგრეთვე გადმოცემულია პოსტულატებით: " ნუ იტყვით იმას, რისი თქმის საფუძველი არ გაგაჩნიათ!", " ნუ იტყვით იმას, რაც თქვენ ტყუილი გგონიათ!"

3. დამოკიდებულების, ანუ რელევანტობის მაქსიმა, რომელიც დემ-ონსტრირებულია სამეტყველო პოსტულატებით: " ნუ გადაუხვევთ საუბრის-თემიდან!", " ილაპარაკეთ მსჯელობის საგანზე!"

4. აზრის მკაფიოდ გამოხატვის, ანუ აზრის გამოხატვის ენობრივ საშუალებათა მაქსიმა. რომლის ექსპლიკაცია ხდება პოსტულატებით: " ერიდეთ გაუგებარ გამოთქმებს!", "ერიდეთ არაერთმნიშვნელოვნებას!" " იყავით მოკლე!", "იყავით ორგანიზებული!".

3. გრაისის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ აღნიშნული პოსტულატები ფორმულირებულია ადრესატის ფაქტორის გათვა-ლისწინებით, რაც თავისთავად გულისხმობს საუბრის ჯგუფის იდენტიფიკა-ციის წესების მკაცრად დაცვას. კერძოდ, ტექსტის რელევანტური (თემ-ატური) ხაზის განვითარებას ეგზისტენციური, ტაქსონომიური, ფონური ლოკუსის დონის შემქმნელი დასახელებებიდან ობიექტის მაიდენტიფიცირ-ებელ დასახელებებისაკენ, რომელთა სემანტიკა რეტროსპექტიულია და გამომდინარეობს კონტექსტიდან.

ენობრივ მასალაზე დაკვირვებები ცხადყოფენ, რომ თანამშრომლობის პრინციპის დარღვევა ყოველთვის ბადებს გაუგებრობის ფენომენს კომუნი-კანტთა შორის, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება მათ შორის ურთიერთ-გაგების დამყარება. კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევენ გავაკე-თოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ გაუგებრობის მოვლენის 80% განპირობე-ბულია აზრის მკაფიოდ გამოხატვის მაქსიმის დარღვევით, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება რეფერენციის გაგება, ანუ მეტყველებაში აქტუალიზირე-ბული სახელის ან სახელადი ფრაზის შეპირისპირება ობიექტური სინამდვი-ლის საგნებთან ან მოვლენებთან.

ფაქტობრივ მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამ ტიპის გა-უგებრობას ბადებენ ისეთი გამონათქვამები, რომლებიც ინფორმატიულობის თვალსაზრისით არასაკმარისად არიან გაფორმებულნი. როგორც წესი, მათში

საუბრის თემის შემოტანა ხდება საკუთარ სახელთა ან ნაცვალსახელთა საშუალებით, რომელთა იდენტიფიკატორული თვისებები განპირობებულია ლინგვოპრაგმატული კონტექსტით. საკუთარ სახელებს, რომლებიც საკუთრივ ნომინაციურ ფუნქციას ასრულებენ ექსტრალინგვისტურ ობიექტთან მიმართებაში, კონკრეტული რეფერენციის უნარი გააჩნიათ მხოლოდ კომუნიკანტთა პრაგმატული ფონური ცოდნისა და კონტექსტუალური ინფორმაციის საფუძველზე, რადგანაც თავისთავად ისინი მოკლებულნი არიან კონცეპტუალურ მნიშვნელობას, აზრს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ ზოგად აღნიშვნელობებს, რომლებიც ასახავენ ზოგად კატეგორიებს (მაგალითად, ადამიანთა დიფერენცირებას სქესისა და ეროვნების მიხედვით და სხვა). საკუთარი სახელები ძირითადად გამოიყენება ადრესატისათვის ცნობილი ობიექტის რეფერენციისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარი სახელი გამოიწვევს გაუგებრობას ადრესატის მხრიდან და დამატებითი მონაცემების გარეშე მისთვის შეუძლებელი გახდება მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია. მაგ.:

- Do you know what my biggest regret is?
- What's that, Colin?
- That none of you ever met Carol.
- Who?
- Carol. My ex-fiancee. She drowned, you know. ( Ayckbourn A. Absurd Person Singuler, p. 139) გამონაკლისს შეადგენს ისეთი სამეტყველო სიტუაცია, რომელშიც ხდება პიროვნებათა ერთმანეთთან გაცნობაწარდგენა საკუთარი სახელის ინდექსალური (ე.ი. ჩვენებითი) გამოყენებით, რის შედეგადაც სახელსა და ობიექტს შორის მყარდება იდენტიფიკაციის, ანუ იგივეობის ურთიერთობა.

გაუგებრობის ფორმირების წარმოშობის მეორე მიზეზია საუბრის ახალ თემის შემოტანა ნაცვალსახელთა საშუალებით, რომლებიც სიტუაციური სემანტიკის აბსტრაქტულობის გამო უჩვენებენ არაერთმნიშვნელოვნების შესაძლებლობას აქვე დრის. რომელსაც კი საკუთარი ინტენციის (საზოგადოების)

შესაბამისად, მეტყველი სუბიექტი ცხადად არჩევს აზრის მკაფიოდ გამოხატვის მაქსიმას და გამონათქვამში მსჯელობის საგნის პრეზენტაციას ახდენს ნაცვალსახელით, რომლის შემოყვანაც ტექსტში მოითხოვს გარკვეული წესების დაცვას, რადგანაც იგი მოკლებულია ინფორმატიულ საკმარისობას. ინფორმატიული არასაკმარისობის გამო ნაცვალსახელთა ფუნქციონირება ტექსტში უმთავრესად ხდება საგნის მეორადი ნომინაციის ან მისი ინდექსალური (ჩვენებითი) რეფერენციის დროს. ნაცვალსახელთა გამოყენება საუბრის ახალი თემის იდენტიფიკაციისათვის ცალმხრივია და იგი ბადებს გაუგებრობას კომუნიკანტთა შორის. ნაცვალსახელის ასეთი ცალმხრივობა განპირობებულია იმით, რომ იგი კომუნიკაციურად რელევანტურია და ერთმნიშვნელოვანი მხოლოდ მეტყველი სუბიექტისათვის, რადგანაც მსჯელობის საგნის რეფერენტი ფიქსირებულია მის ცნობიერებაში ჯერ კიდევ ვერბალურამდე სტადიაში, მაშინ როდესაც ადრესატისათვის ნაცვალსახელით შემოტანილი საუბრის თემა უსაგნოა, რამდენადაც ამ სიტყვის სემანტიკა არ იძლევა რეფერენტის იდენტიფიკაციის საშუალებას. ამის გამო ადრესატი იძულებულია კითხვით დააფიქსიროს საწყისი გამონათქვამის სტრუქტურაში გაუგებარი კომპონენტი, რის შედეგადაც საუბრის დამწყები ახდენს თავისი რეპლიკის კორექტირებას – დაზუსტებას, რითაც ხდება გაუგებრობის წყაროების ლიკვიდირება და კომუნიკაცია ბრუნდება მისთვის ჩვეულ კალაპოტში. მაგ.:

– She up there?

– Who?

– Lady!

– No.

( Williams T., Orpheus Descending, p. 294 )

ზოგჯერ ახალი თემის პრეზენტაცია ნაცვალსახელთა საშუალებით ქმნის სწრაფი დიალოგის ცრუ, მოტყუებით ეფექტს. ამ დროს რეფერენციის გაუგებრობის გამომჟღავნება ხდება არა ადრესატის მიერ რეპლიკის გაგონებისთანავე, არამედ დამწყები მოსაუბრის მიერ გარკვეული მოტყუების კონტექსტუ-

ლური-ინფორმაციის დაგროვების შედეგად, რომელიც არღვევს მის ემოციურ ბალანსს, დაუყადგომელს სანყაროს ნიშნულ ბიჭს.

ნაგ.: I looked down at her.

"But it has happened to me. It has happened to me. And he is gone".

"I'll find him", I said, ready to go.

"It won't do any good".

"He'll listen to sense", I said.

"Oh, I don't mean Adam, I mean – "

"Stark?"

She nodded. (Warren R.P., All the King's Men, p. 354)

ილუსტრირებულ ტექსტში სტრის დიალოგის ორი ეტაპის შერწყმა და რეფლექსიის გადაცემის ხაზგასმული გარდამავლობა განპირობებულია ერთმანეთისგან განირჩეულ მეტყველ ინფორ-მაციული ფაქტორებით: 1) საუბრის დაწყების ფსიქო-ემოციური განწყობით ჰეროინის არა-ლი თქმის ქვეცნობიერი პრეზენტაცია ნაცვალსახელით რეპლიკაში – "And he is gone", რომლის სემანტიკის ორაზროვნება ადამის ერთს ადრესატს არ აძლევს საშუალებას მოახდინოს რეფერენტის იდენტიფიკაცია; 2) ადრე-სატს გარკვეული სიტუაცია-ურთიერთო კომპეტენცია გააჩნია. ნაცვალსახ-ელის გაგრძელებისთანავე, რომელიც ჩვეულებრივად ფუნქციონირებს ტექსტში სუბსტიტუტის როლში, ადრესატი ლოგიკურად აკავშირებს მას ადამთან, პი-როვნებასთან, რომელიც კომუნიკანტთა ბუნებრივ საგანს წარმოადგენს აღნიშნულ რეპლიკამდე და ფონური ცოდნის გათვალისწინებით აკეთებს შე-საბამის დასკვნას – I'll find him. He'll listen to sense; 3) თითოე-ული კომუნიკანტის სამეტყველო – აზროვნების აქტივიზაცია ერთ-ერთი ფუნქ-ციურად ჩართულობის ექსპრესიაა. ექსპრესიულობის არსი მდგომარეობს ადამიანის ურთიერთ თანდაყოლილი და შეძენილი გამოცდილების საფუძველზე წინასწარ განსჯვრეტის და ლაპარაკობის მოვლენათა განვითარების შეს-

ძლებელი მიმართულება. აქედან გამომდინარე ექსპლიკაცია გარკვეულ წი-ლად განსაზღვრავს გამონათქვამის პრაგმატიკას და იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი არ ამართლებს და არღვევს ერთ-ერთი კომუნიკანტის ექს-პექტაციას წარმოიქმნება გაუგებრობის ფენომენი, რომელიც აუცილებლად დაფიქსირდება მოსაუბრის რეპლიკით. წინამდებარე ტექსტში ექსპლიკაციას არღვევს გამონათქვამი – "He'll listen to sense" , რომლის გაგონე-ბისთანავე საუბრის დამწყები ხვდება, რომ ადრესატმა არასწორად მიახ-დინა მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია და დაუყოვნებლივ ახდენს საკუ-თარი უზუსტობის კორექტირებას რეპლიკით: "Oh, I don't mean Adam, I mean", რომელიც იძლევა რეფერენტის დადგენის შესაძლებლობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ყოველ ენის სწავლების პროცესში მოსწავლეთა და სტუდენტთა ყურადღება გა-მახვილდეს სათანადო კონტექსტების შესწავლასა და დაცვაზე, რადგანაც მათი გაცნობიერება და შემდგომში ისევე გამოყენება არის საწინდარი სა-უბრის სწორად წარმართვისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

I. Вендлер 3. Сингулярные термы.//Новое в зарубежной лингвистике. Вып.XIII, М.:"Радуга", I982, с. 203-236.

2. Уфимцева А.А. Типы словесных знаков. М.:"Наука", I974.

3. Grice H.P. Logic and conversation.//Syntax and semantics, v. 3, Speech acts. New-York Academic Press, 1975, p. 41-58.

4. Searle J.P. Speech acts: an essey in the philosophy of language. London: Cambridge University Press, 1969. - 203 p.

5. Searle J.R. The problem of proper names.//Semantics. An interdisciplinary reader in philosophy, linguistics and psychology. Cambridge University Press, 1975, p. 61-83.